მრავალშვილიანი ოჯახების ეკონომიკური მხარდაჭერის პროგრამა

შემუშავებულია

ზესტაფონის მუნიციპალიტეტისთვის



მუნიციპალური პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი შემუშავებულია ორგანიზაცია „ინიციატივა სოციალური ცვლილებებისათვის მიერ“ (ISC) პროექტის „ინკლუზიური დიალოგი - ეფექტური სოციალური პოლიტიკისათვის“ ფარგლებში, რომელსაც “ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო” (LDA Georgia) ახორციელებს.

პროგრამის დასახელება	მრავალშვილიანი ოჯახების ეკონომიკური მხარდაჭერის პროგრამა	**პროგრამის მიზანი**	ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახების მიერ მიკრო ან მცირე მეწარმეობის დაწყების ან არსებულის გაფართოებისთვის მხარდაჭერა
განხორციელების არეალი	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	**სრული ღირებულება**	30 000 ლარი
სამიზნე ჯგუფი	ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახები	**ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა**	30 000 ლარი
განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახური	**სხვა სახსრები**	N/A

პროგრამის ზოგადი აღწერა

მრავალშვილიანი ოჯახების ეკონომიკური მხარდაჭერის პროგრამის მიზანია ზესტაფონის მუნიციპალიტეტში რეგისტირებული და მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახების მიერ მიკრო ან მცირე მეწარმეობის დაწყების ანდა არსებულის გაფართოების მხარდაჭერა, გადამზადებისა და პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების[1] გზით.
2020 წლისთვის, პროგრამა ხორციელდება საპილოტე რეჟიმში. პროგრამა ითვალისწინებს:

- მიკრო ან მცირე მეწარმეობით დაინტერესებული 20-მდე მრავალშვილიანი ოჯახის წარმომადგენლის გადამზადებას ბიზნეს პროექტების მომზადებისა და მართვის კუთხით;
- დახურული კონკურსის წესითა[2] და შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით, სულ მცირე, 4 საუკეთესო ბიზნეს პროექტის გამოვლენას და მათი დაფინანსება/თანადაფინანსების უზურნველყოფას.

პროგრამის განხორციელების წინაპირობა/ პრობლემის აღწერა

გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ 2017 წელს განხორციელებული მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის თანახმად, რომელმაც მოიცვა სრულიად საქართველო, ბავშვიან შინამეურნეობაში სიღარიბის მაჩვენებლი უფრო მაღალია, განსაკუთრებით კი სოფლის ტიპის დასახლებებში. 2017 წელს, შინამეურნეობების 33%-ს სულ მცირე ერთი ბავშვი მაინც ჰყავდა. აღსანიშნავია, რომ შინამეურნეობებში ბავშვთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, მნიშვნელოვნად იზრდება ფარდობითი და ზოგადი სიღარიბის მაჩვენებლებიც. მაგალითად, ფარდობითი და ზოგადი სიღარიბის ზღვრებს ქვემოთ ცხოვრობს ერთ ან ორბავშვიანი ოჯახების, შესაბამისად 27.2% და 24.5%. როცა საქმე სამ ან მეტ ბავშვიან შინამეურნეობებს ეხებათ, ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებელი თითქმის 39.9%-მდე, ხოლო ზოგადი სიღარიბის შემთხვევაში – 33.4%-მდე იზრდება.

2019 წლის აგვისტოში, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოს (LDA) მიერ ზესტაფონის მუნიციპალიტეტში განხორციელებული კვლევის ფარგლებში, მნიშვნელოვან სოციალურ პრობლემათა რიგში უპირატესად გამოიკვეთა სიღარიბე, უმუშევრობა და დაბალი შემოსავლები. განსაკუთრებით ხაზგასმულ იქნა მრავალშვილიანი ბავშვიანი ოჯახებისა და ქალთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. შესაბამისად, წინამდებარე პროგრამა ყურადღებას ამახვილებს მრავალშვილიანი ოჯახების ეკონომიკურ მხარდაჭერაზე, აქცენტით ქალთა გაძლიერებაზე.

პროგრამის მიზნები და ამოცანები

[1] შესაძლებელია თანადაფინანსებაში ჩაითვალოს მატერიალური სახით მონაწილეობა (მაგ. საკუთრებაში არსებული ნაკვეთი);
[2] იგულისხმება, რომ მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ ტრენინგში მონაწილე ოჯახებს, რომლებმაც სრულად გაიარეს სატრენინგო კურსი.

პროგრამის მიზანია ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახების მიერ მიკრო ან მცირე მეწარმეობის დაწყების ან არსებულის გაფართოების მხარდაჭერა, გადამზადებისა და პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების გზით. აღნიშნულის მისაღწევად, პროგრამის სპეციფიურ ამოცანებს წარმოადგენს:

- სამიზნე ჯგუფის წევრ დაინტერესებულ მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრა და ინფორმაციის მიწოდება პროგრამის შესახებ;
- მიკრო ან მცირე მეწარმეობით დაინტერესებული მრავალშვილიანი ოჯახების წარმომადგენელთა გადამზადება ბიზნეს პროექტების მომზადებისა და მართვის კუთხით;
- დახურული კონკურსის გამოცხადება ბიზნეს პროექტების მიღებაზე და ადგილზე ვიზიტის განხორციელება, საჭიროების შემთხვევაში;
- კონკურსის საფუძველზე, საუკეთესო ბიზნეს პროექტების გამოვლენა და მათი დაფინანსება/თანადაფინანსება, შემდგომი მონიტორინგის უზურნველყოფით.

პროგრამის სამიზნე ჯგუფი

პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ზესტაფონის რაიონში რეგისტრირებული ან მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახები. პროგრამის პირველ ეტაპზე ჩართული იქნება მრავალშვილიანი ოჯახის 20 წარმომადგენელი, რომელიც გაივლის გადამზადებას, ხოლო მომდევნო ეტაპზე კი დაფინანსდება, სულ მცირე, 4 ოჯახის ბიზნეს პროექტი.

პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმები

მრავალშვილიანი ოჯახები პროგრამაში მონაწილეობისთვის უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

- ოჯახი რეგისტრირებულია ან ცხოვრობს ზესტაფონის მუნიციპალიტეტში;
- ოჯახს ყავს 4 და მეტი არასრულწლოვანი შვილი;
- ოჯახი ახორციელებს მიკრო ან მცირე სამეწარმეო საქმიანობას ანდა აქვთ მსგავსი საქმიანობის წარსულში განხორციელების გამოცდილება ანდა განახლების სურვილი;
- შეუძლია გაწიოს თანადაფინანსება მთლიანი ბიუჯეტის 10%-ით ანდა მატერიალური-ტექნიკური სახით[3].

პროგრამის განხორციელების პროცედურები (წესი)

პროგრამას ახორციელებს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია, მომსახურების შესყიდვის წესით. პირველ ეტაპზე, მერია უზრუნველყოფს კონკურსის გამოცხადებას და შეარჩევს ორგანიზაციას (შემდგომში მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაცია), რომელიც აიღებს პასუხისმგებლობას პროგრამის მიწოდებაზე სამიზნე ჯგუფისთვის. პროგრამაში ჩართვის მიზნით, მრავალშვილიან ოჯახებს შეუძლიათ მიმართონ მერიას წერილობითი განაცხადით, რომელიც მოიცავს პირველად ბიზნეს იდეას, საქმიანობის ტიპისა და საჭირო ფინანსური მხარდაჭერის მითითებით. ამასთან, მერიამ, მომსახურების მიმწოდებელ ორგანიაზიასთან ერთად, მნიშვნელოვანია უზურნველყოს საინფორმაციო შეხვედრის გამართვა დაინტერესებულ ოჯახებთან, რათა მათ დეტალურად გააცნოს პროგრამის შინაარსი და მათი ვალდებულებები მონაწილეობის შემთხვევაში. მას შემდეგ რაც შერჩეული იქნება მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაცია, იგი უზრუნველყოფს:

- 20-მდე მრავალშვილიანი ოჯახის წარმომადგენელთა გადამზადებას მცირე ბიზნესის განვითარებისა და მართვის მიმართულებით;
- ბიზნეს პროექტების კონკურსის გამოცხადებას, რომელშიც მონაწილეობის შესაძლებლობა ექნება მხოლოდ იმ ოჯახებს, ვინც მიიღო ტრენინგში მონაწილეობა და სრულად გაიარა კურსი. კონკურსის საფუძველზე, გამოვლინდება სულ მცირე 4 ოჯახი, რომელიც მიიღებს დაფინანსებას/თანადაფინანსებას მიკრო ან მცირე ბიზნესის განვითარების მიზნებისთვის (3000 ლარიდან 5000 ლარამდე);

ბიზნეს იდეების შესარჩევი კომისია უნდა დაკომპლექტდეს, როგორც მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის, ასევე, მერიის წარმომადგენლების მიერ და მათი შერჩევის დროს მხედველობაში უნდა მიიღონ შემდეგი ასპექტები:

- წარმოდგენილი ბიზნეს პროექტის შინაარსი, რეალისტურობა და ხარჯთეფექტურობა;
- ოჯახის წევრის ჩართულობა ტრენინგის ეტაპზე და დაინტერესება პროცესისადმი;

[3] ეს შესაძლებელია არ იყოს აუცილებელი პირობა ანდა გადაწყვეტილება აღნიშნულზე იქნას კომისიის მიერ მიღებული, ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით.

- ოჯახის მოწყვლადობა და ბიზნეს პროექტის მხარდაჭერის მნიშვნელოვნება სოციალური თვალსაზრისით, მათ შორის აქცენტი ქალთა გაძლიერებაზე;
- ოჯახის გამოცდილება შესაბამისი მიმართულებით და ოჯახის წევრთა მოტივაცია.

დამატებით კომისიამ შეიძლება მიმართოს შესაბამის ტერიტორულ ერთეულში მერის წარმომადგენელს, რათა უზრუნველყოს დასკვნა-რეკომენდაციის მიწოდება ბოლო ორ კომპონენტთან დაკავშირებით (ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და არსებული შესაძლებლობები მართონ მცირე ბიზნესი).

პროგრამის განხორციელების ვადები

პროგრამის განხორციელების ვადაა: 1 იანვარი, 2020 – 31 დეკემბერი, 2020
პროგრამა ხორციელდება საპილოტედ.

	აქტივობა	განხორციელებაზე პასუხისმგებელი რგოლი	განხორციელების პერიოდი
1.	**პროგრამის მოსამზადებელი სამუშაოები**		
1.1.	ღია ტენდერის გამოცხადება მრავალშვილიანი ოჯახების ეკონომიკური მხარდაჭერის პროგრამაზე	მერიის სოციალური და იურიდიული სამსახური	იანვარი-თებერვალი
1.2.	ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაციის შერჩევა / ხელშეკრულების გაფორმება	მერიის სოციალური და იურიდიული სამსახური	თებერვალი
2.	**პროგრამის განხორციელება**		
2.1.	სამიზნე ჯგუფისთვის ინფორმაციის მიწოდება პროგრამის შესახებ / საინფორმაციო შეხვედრის უზრუნველყოფა / განცხადების მიღება (ბიზნეს იდეის მითითებით)	მერიის სოციალური სამსახური / მერის წარმომადგენლები / მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაცია	მარტი
2.2.	ბიზნესის პროექტების მომზადებისა და მართვის ტრენინგის დაგეგმვა და მიწოდება სამიზნე ჯგუფისთვის	მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაცია	აპრილი-მაისი
2.3.	დახურული ბიზნეს პროექტების კონკურსის გამოცხადება ტრენინგის მონაწილე ოჯახებისათვის	მომსახურების მომწოდებლი ორგანიზაცია	ივნისი
2.4.	კომისიური ფორმატით, დასაფინანსებელი ბიზნეს პროექტების შერჩევა / ადგილზე ვიზიტების განხორციელება	კომისია	ივლისი
2.5.	დაფინანსებული ოჯახების მხარდაჭერა (მოთხოვნილი ინვენტარის შეძენა/გადაცემა) და შემდგომი მონიტორინგის უზურნველყოფა	მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაცია / მერიის სოციალური სამსახური	აგვისტო-სექტემბერი (დეკემბერი)
3.	**ანგარიშგება, მონიტორინგი და შეფასება**		
3.1.	საბოლოო ანგარიშის მომზადება და მიწოდება მერიისთვის	მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაცია	დეკემბერი
3.2.	საბოლოო მონიტორინგისა და შეფასების განხორციელება	მერიის სოციალური სამსახური	დეკემბერი

პროგრამის პარტნიორიები

მუნიციპალური პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი შემუშავებულია ორგანიზაცია „ინიციატივა სოციალური ცვლილებებისათვის მიერ“ (ISC) პროექტის „ინკლუზიური დიალოგი - ეფექტური სოციალური პოლიტიკისათვის“ ფარგლებში, რომელსაც “ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო” (LDA Georgia) ახორციელებს.

პროგრამის ძირითადი პარტნიორი იქნება ტენდერში გამარჯვებული მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაცია, რომელიც უზურნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელებას. აღსანიშნავია, რომ მსგავსი შინაარსის მომსახურების მიწოდების გამოცდილება აქვს დასავლეთ საქართველოში მომუშავე ორგანიზაციას - მეწარმე ქალთა ფონდი. ამასთან, ეკონომიკური მხარდაჭერისა და ოჯახების გაძლიერების მიმართულებით, დასავლეთ საქართველოში ოპერირებენ სხვა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებიც. შესაბამისად, მერიამ მნიშვნელოვანია უზურნველყოს დაინტერესებულ მხარეებთან საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები, რაც მისცემს შესაძლებლობას პროგრამის უკეთ დაგეგმვის და ამასთან ტენდერის ჩავარდნის რისკს შეამცირებს.

პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი

პროგრამის განხორციელებაზე პასუხიმგებელი უწყება იქნება ზესტაფონის მერიის სოციალური სამსახური, რომელიც ასევე განახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და შეფასებას. აღნიშნული მიზნებისთვის, მას დასჭირდება სამსახურის ერთი სპეციალისტის მიმაგრება პროგრამაზე;

პროგრამის მიწოდებაზე კი უშუალო პასუხისმგებლობა ექნება ტენდერის წესით შერჩეულ მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ტრენერის დაქირავება ბიზნეს პროექტების მომზადებისა და მართვის საკითხებზე; ტრენინგის მიწოდება სამიზნე ჯგუფისთვის; ბიზნეს პროექტების კონკურსის გამოცხადება და გამარჯვებულებზე დაფინანსების გაცემა (საჭირო საქონლის შესყიდვის განხორციელება).

პროგრამის მონიტორინგი და შეფასება

პროგრამის მონიტორინგსა და შეფასებაზე პაუსიხმგებლობა ექნება მერიის სოციალურ სამსახურს, რომელიც პროგრამის წარმატებას შეაფასებს შემდეგ ინდიკატორებთან მიმართებით:

- პროგრამაში ჩართვით დაინტერესებული ოჯახების ჯამური რაოდენობა;
- პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ტრენინგის მონაწილეთა ჯამური რაოდენობა 20 მონაწილე;
- პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ტრენინგის მონაწილეთა 90 % სრულად დაესწრო ტრენინგის ყველა დღეს;
- პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ტრენინგის მონაწილეთა უკუკავშირის კითხვარის ანალიზით, დასტურდება მათი ტრენინგით კმაყოფილება;
- ტრენინგის მონაწილეთა 50%-მა მონაწილეობა მიიღო ბიზნეს პროექტების კონკურსში;
- ბიზნეს პროექტების კონკურსის ფარგლებში დაფინანსებულ იქნა სულ მცირე 4 ბიზნეს პროექტი;
- პროგრამის დასასრულს, ოჯახები, რომელთაც დაუფინანსდათ ბიზნეს პროექტები დადებითად აფასებენ პროგრამას;
- დაფინანსებული ოჯახის შემოსავლების გაზრდა, სულ მცირე, 30%-ით.

რისკები და მასთან გამკლავების გზები
მრავალშვილიანი ოჯახების ეკონომიკური მხარდაჭერის პროგრამა შეიძლება დადგეს სამი მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე: - **ტენდერის ჩავარდნის ალბათობა:** რისკის დაზღვევის მიზნით, მნიშვნელოვანია შედგეს საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან წინასწარ. ასევე, გამოცხადებული კონკურსის შესახებ ინფორმაციის გავრცელების სხვადასხვა წყაროები იქნას გამოყენებული. - **მომართვიანობასთან დაკავშირებული სირთულეები:** გამომდინარე იქედან, რომ პროგრამა ახალია და ზესტაფონის მოსახლეობისთვის არ არის ცნობილი, შეიძლება დადგეს როგორც დაბალი მომართვიანობის, ასევე მაღალი მომართვიანობის პრობლემა. შესაბამისად, სასურველია პროგრამის საწყის ეტაპზე, მერის წარმოადგენლების ჩართულობა და ინფორმაციის მაქსიმალურად გავრცელება და შემდგომ საინფორმაციო შეხვედრის უზურნველყოფა, სადაც დეტალური ინფორმაცია იქნება მიწოდებული მონაწილეებისთვის პროგრამის შინაარსზე, მათ შორის მათ ვალდებულებებზე თუკი ისინი გახდებიან პროგრამის მონაწილეები. - **ოჯახების მიერ დაფინანსებით გაცემული მხარდაჭერის არამიზნობრივი ხარჯვა:** დაფინანსების ფულადი სახით გაცემის შემთხვევაში, არსებობს რისკი რომ თანხა არამიზნობრივად გაიხარჯოს. შესაბამისად, ამ რისკის დასაზღვევად, მნიშვნელოვანია მომსახურების მიმწოდებელმა ორგანიზაციამ თავად განახორციელოს იმ ინვენტარის/პროდუქციის ან სხვა სახის საქონლის შესყიდვა, რაც ოჯახს ჭირდება მცირე ან მიკრო ბიზნესის მართვისთვის. შესყიდვის შემთხვევაში, რისკს წარმოადგენს შესყიდულის გაყიდვა, რაც უნდა დაარეგულიროს მომსახურების მიმწოდებელსა და ბენეფიციარს შორის კონტრაქტმა. კონტრაქტის პირობა უნდა ითვალისწინებდეს რომ დაუშვებელია გადაყიდვა. შესაძლებელია ხელშეკრულებაში გაჩნდეს ჩანაწერი შემდეგი ფორმულირებით „ბენეფიციარი ვალდებულია განზრახ დაზიანების, ან გასხვისების შემთხვევაში აანაზღაუროს ნივთის ღირებულება“.